საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030134658232717

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/16550 **20 / მარტი / 2017 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომუნალური, წარმომადგენლობითი, ავტომანქანების რემონტის, საწვავისა და კავშირგაბმულობის ხარჯების დაფინანსების მიზნით, ესაჭიროება ცენტრალური აპარატის „საქონელი და მომსახურების“ მუხლის პირველი კვარტლის ასიგნების ზრდა მესამე კვარტლის ასიგნების შემცირების ხარჯზე. აღნიშნულის დაბალანსება შესაძლებელია „დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების“ პროგრამის ასიგნების გამოყენებით.

ასევე, გაცნობებთ, რომ 2016 წლის ბოლოს სამინისტრომ ვერ განახორციელა ზოგიერთი მიმწოდებლისათვის თანხის გადარიცხვა, იმის გამო, რომ საქონლისა და მომსახურების მოწოდება ხორციელდებოდა 31 დეკემბრის ჩათვლით. წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანების (საფოსტო მომსახურება, კავშირგაბმულობა, მივლინება, სტიპენდიებისა და გრანტების ხარჯი) დაფარვის მიზნით, საჭიროა „შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავებისა და მართვის“ და „დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების“ პროგრამების „ვალდებულებების კლების“ მუხლის ასიგნების ზრდა.

გარდა ამისა, ლენტეხის მრავალპროფილიანი საავადმყოფოსა და ზუგდიდის სკრინინგ ცენტრის კომუნალური ხარჯებისა და სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მშენებარე ადმინისტრაციული შენობის აზომვითი ნახაზის ხარჯების დაფინანსების მიზნით, საჭიროა „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის“ პროგრამის „საქონელი და მომსახურების“ მუხლის ასიგნების ზრდა „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის ასიგნების შემცირების ხარჯზე.

გთხოვთ, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 31-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, განახორციელოთ დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება, დანართი N1-ის შესაბამისად.

ასევე, დანართების სახით წარმოგიდგენთ ვალდებულებების რეესტრს (დანართი N2) და ინფორმაციას სახაზინო ვალდებულებების შესრულების შესახებ (დანართი N3).

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე ვალერი კვარაცხელია